ა ნ გ ა რ ი შ ი

საქართველოს პარლამენტის მუდმივმოქმედი დელეგაციის მონაწილეობის შესახებ ევრონესტის საპარლამენტო ასამბლეის ეკონომიკური ინტეგრაციისა და ენერგო უსაფრთხოების კომიტეტების გაერთიანებულ სხდომაში

2017 წლის, 23 მაისი

კიშინოვი, მოლდოვა

23 მაისს, საქართველოს პარლამენტის მუდმივმოქმედმა დელეგაციამ, ირინა ფრუიძის ხელმძღვანელობით, კიშინოვში, მოლდოვის პარლამენტში, ევრონესტის საპარლამენტო ასამბლეის ეკონომიკური ინტეგრაციისა და ენერგო უსაფრთხოების კომიტეტების გაერთიანებულ სხდომაში მიიღო მონაწილეობა.

გაერთიანებულ სხდომაში ასევე მონაწილეობდნენ საქართველოს პარლამენტის მუდმივმოქმედი დელეგაციის წევრები, საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე დიმიტრი ცქიტიშვილი და ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე ლევან კობერიძე. ღონისძიებაზე ასევე წარმოდგენილნი იყვნენ ევროპარლამენტის, აზერბაიჯანის, სომხეთის, უკრაინისა და მოლდოვის პარლამენტების დელეგაციები.

კომიტეტის სხდომაზე წარმოდგენილი იყო ანგარიშის პროექტები **„ენერგეტიკის სფეროში ევროკავშირისა და აღმოსავლეთ ევროპული ქვეყნების თანამშრომლობის შესახებ, მათ შორის 2015 წლის პარიზის კლიმატური ცვლილების ხელშეკრულების განხორციელების მიმართულებით“** და **„ეკონომიკური კრიზისის უარყოფითი გავლენის დაძლევა ახალგაზრდებში უმუშევრობის შესამცირებლად.“** ეკონომიკური ინტეგრაციის კომიტეტზე განსახილველად წარმოდგენილი ანგარიში, ახალგაზრდობის უმუშევრობის თემაზე, მომზადდა ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილის, ირინა ფრუიძისა და იაკობ დალუნდეს (ევროპარლამენტის წევრი შვედეთიდან, მწვანეთა პარტია) თანაავტორობით.

კომიტეტის წინაშე მოხსენებით წარსდგა ირინა ფრუიძე ევროკავშირის სახელმწიფოებსა და აღმოსავლეთ ევროპაში ახალგაზრდების უმუშევრობის თემაზე. მან აღნიშნა, რომ ბოლო ათწლეულის ეკონომიკურმა კრიზისმა ყველაზე მეტად ახალგაზრდები დააზიანა, მათი დიდი

ნაწილი ევროპის ბევრ ქვეყანაში დაუსაქმებელია და მოკლებულია რეალურ შესაძლებლობას ინტეგრირდეს შრომის ბაზარზე ან განვითარდეს პროფესიულად. 2016 წელს მსოფლიოს მასშტაბით ახალგაზრდების უმუშევრობამ მიაღწია ისტორიულ პიკს და შეადგინა 13 პროცენტი, შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის პროგნოზის მიხედვით, მიუხედავად სახელმწიფოთა აქტიური მცდელობებისა, მიმდინარე წელს ეს რიცხვი არ შემცირდება. აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში შრომის ბაზრებზე ახალგაზრდების დასაქმების მხრივ ვითარება სხვადასხვაგვარია და სტატისტიკა განსხვავებულ ნიშნულებს აჩვენებს, რომელიც მერყეობს 5% დან 33 %-მდე. უმუშევრობა ახალგაზრდების იძულებით მიგრაციას განაპირობებს, რაც თავის მხრივ ქვეყნების ეკონომიკურ ზრდასა და სოციალურ ინტეგრაციას აფერხებს.

ანგარიში აღწერს ევროპის ქვეყნებში ჩატარებულ ღონისძიებებს, რომლებმაც მყარი გარანტიები შექმნეს ახალგაზრდების უმუშევრობის შესამცირებლად, ასეთებია ინვესტირება განათლების სფეროსა და პროფესიულ სწავლებაში, დუალური პროფესიული საგანმანათლებლო სისტემები, ახალგაზრდების ადრეული ინტეგრაცია სოციუმში, ამ ყველაფრის მთავარი ხელშემწყობი ფაქტორი კი ძლიერი მცირე და საშუალო ბიზნესია.

დისკუსიის დროს გამოიკვეთა რიგი გარემოებები, რომლებიც საჭიროებს უფრო ღრმა შესწავლასა და ხელისუფლებების მხრიდან მეტ ძალისხმევას ახალგაზრდებისთვის განათლების ხელშეწყობისათვის და მათი პოზიციების გაუმჯობესებისათვის შრომის ბაზარზე.

აღნიშნულ თემაზე ასევე სიტყვით გამოვიდა ევროპარლამენტის წევრი, ასამბლეის თანაპრეზიდენტი რებეკა ჰარმსი (გერმანია, მწვანეთა პარტია). მან ისაუბრა ანგარიშის პროექტზე იაკობ დალუნდეს ნაცვლად და აღნიშნა, რომ ევროპის კონტინენტზე ახალგაზრდების უმუშევრობა საგანგაშოა და საჭიროა დაუყოვნებლივი ზომების მიღება. პარტნიორებში გამოიკვეთა საყოველთაო თანხმობა, რომ პარლამენტებმა უნდა განავითარონ სტრატეგიული მიდგომა ახალგაზრდების დასაქმების ინიციატივების განვითარებისთვის, მათი განხორციელებისა და შემდგომი შეფასებისთვის.

სომხეთის პარლამენტის წარმომადგენელმა მიმოიხილა მათ მიერ მომზადებული ანგარიში ენერგეტიკის სფეროში თანამშრომლობის შესახებ და ისაუბრა პარიზის კლიმატური ცვლილებების ხელშეკრულების განხორციელების აუცილებლობაზე.

განსახილველი საკითხების გარშემო გაიმართა დისკუსია. მხარეები შეთანხმდნენ თემების გარშემო გაგრძელდეს მსჯელობა პლენარულ სხდომისთვის მოსამზადებლად.

საქართველოს პარლამენტის მუდმივმოქმედი დელეგაციის წევრები აირჩიეს ევრონესტის საპარლამენტო ასამბლეაში კომიტეტების ხელმძღვანელ პოზიციებზე: **რომან კაკულია აირჩიეს ენერგო უსაფრთხოების კომიტეტის თანათავმჯდომარედ, ხოლო ირინა ფრუიძე, ეკონომიკური ინტეგრაციის კომიტეტის ვიცე თანათავმჯდომარედ.**

კომიტეტის სხდომის შემდგომ, მოლდოვის პარლამენტში გაიმართა ევრონესტის საპარლამენტო ასამბლეის ბიუროს სხდომა. სხდომას ესწრებოდნენ დელეგაციის ხელმძღვანელები. ბიუროზე განხილულ იქნა ასამბლეის რეგლამენტში შესატანი ცვლილებების პროექტები, რომლებიც უკავშირდება ეფექტურობის გაზრდას და ასამბლეის როლის გაძლიერებას აღმოსავლეთ პარტნიორობის პოლიტიკის ფარგლებში. მარიან ლუპუს ინიციატივით ასამბლეის ფარგლებში შეიქმნა კიდევ ერთი სამუშაო ჯგუფი საქართველოს, მოლდოვის და უკრაინის ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების თემაზე (ევრონესტის საპარლამენტო ასამბლეაში უკვე მოქმედებს ორი სამუშაო ჯგუფი რეგლამენტისა და ბელორუსის საკითხებზე). სამუშაო ჯგუფი იქნება დამატებითი პლატფორმა სამი ასოცირებული პარტნიორისა და ევროპარლამენტისთვის შესაბამისი დისკუსიისა და კონსულტაციებისთვის.

ევროპარლამენტის წევრებსა და აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების პარლამენტის წევრებს შორის გაიმართა დისკუსია საერთო ინტერესების საკითხებზე, ევროინტეგრაციული ამოცანების მისაღწევად, დაიგეგმა ერთობლივი სამოქმედო ღონისძიებები. გადაწყდა, რომ **ასამბლეის პლენარული სესია გაიმართება უკრაინაში, 30 ოქტომბრიდან 2 ნოემბრის ჩათვლით.**

ანგარიში მოამზადა თეკლე ბორაშვილმა

საქართველოს პარლამენტის მუდმივმოქმედი დელეგაციის მდივანი